საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ოთხშაბათი 23 თებერვალი 1921 წ.

ერთობა

ფასი 50 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 1200 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 50 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] პეტიტის სტრიქონი 30 მანეთი [illegible] დღე 20 მანეთი, სამგლოვიარო [illegible] პრიდა ზომის (10—2) 1000 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის [illegible] მესახლე რუსთაველის ქუჩა № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 16—16, კანტორის 16—82

№ 41 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა № 41

მშობლების, ნათესავების და ნაცნობთა საყურადღებოთ ვაცხადებთ რომ 23 თებერვალს დილის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ძმურ საფლავში მოხდება დაკრძალვა მუხანათურ მტრისაგან დედა ქალაქის მოგერების დროს სახელოვნად და გმირულად დახოცილთა ნამდვილ სამშობლოს შვილების—ჩვენი მხედრობის გვამებისა. ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეთ ვთხოვთ სცენ პატივი დასწრებით დედა ქალაქის დამცველ მსხვერპლებს. გამოსვენება მიცვალებულთა მიხეილის საავადმყოფოდან დილის 10 საათზე მიხეილის პროსპექტით, კიროჩნი ქუჩა, ვერის აღმართი, რუსთაველის პროსპექტი, სახედრო ტაძარში

(634—1—1) ქ. თფილისის კომენდანტი.

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: ნატალია ირაკლის ასული და დეკანოზი არისტარხო ნიკოლოზის ძე, და ზოია და ძმა ირაკლი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი სტუდენტ მოხალისე-ჯარისკაცის

ნიკოლოზ (კოლია) კალანდარიშვილის

სამშობლოსათვის გმირულათ სიკვდილს. პანაშვიდები ყოველდღე მიხეილის საავადმყოფოში 1 საათზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება მიხეილის საავადმყოფოს ტაძრიდან დღეს, 23 თებერვალს დილის 10 საათზე და დაკრძალული იქნება თფ. სახედრო სობოროში.

მამიდა ეკატერინა ნიკოლოზის ასული და ბიძა ათანასეს ძე ბაბილუები, ბიძია ვიქტორ ნიკოლოზის ძე და ბიცოლა ოლიმპიადა, ბიძები: კონსტანტინე და სიმონი და ბიცოლა ნინა კალანდარიშვილები, კვიროსი ქავჟარაძე და თამარ დოლაბერიძის ასული მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ სტუდენტ

ნიკოლოზ (კოლია) კალანდარიშვილის

ბრძოლის ველზე გმირულათ დაღუპვას. პანაშვიდები მიხეილის საავადმყოფოში ყოველ დღე 1 საათზე ცხედარი გამოსვენებული იქნება მიხეილის საავადმყოფოს ტაძრიდან დღეს 23 თებერვალს დილის 10 საათზე და დაკრძალული იქნება თფ. სამხედრო სობოროში.

---

2 ბატარეია № საარტილერიო დივიზიისა გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რომ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპულ კაპიტან

მიხეილ თუმანიშვილის

და მოხალისე ჯარის-კაცი

ნიკოლოზ კალანდარიშვილის

დაკრძალვა დღეს სახედრო ტაძრის გალავანში. მიცვალებულებს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან დღეს დილის 10 საათზე.

(632—1—1)

[illegible] წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამართველო [illegible] თანამშრომლებით ერთად მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გარდაცვალებას [illegible] დის

[illegible] კონსტანტინეს ასული მაყაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ ოთხშაბათს 23 თებერვალს 12 საათზე, დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (626 2—1)

[illegible]ის ქალთა განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს საყვარელი დის

მარო მაყაშვილის

[illegible] ბრძოლის ველზე თავდადებული მუშაობის დროს 19 თებერვალს. გამოსვენება 23 თებერვალს, 2 საათზე ქაშვეთის ეკლესიიდან ვერის სასაფლაოზე. (6 6—1—1)

№ ბატარეია № საარტილერიო დივიზიონისა გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ ლეიტენანტები

აბაშიძე და გრიგოლია

(632—1—1)

სოსო მანაგაძე, დათიკო ქვარიანი და მიშა არეშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ვერაგ მტრებთან ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ძვირფასი ამხ. სტუდენტი

პავლე გეშკენაძე

(1—1)

თფილისის ქალთა [illegible] 7-ე წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო და მოწაფენი ღრმა გულისტკივილით აუწყებენ საზოგადოებას, გარდაცვალებას გიმნაზიის ყოფილი ძვირფასი მოწაფის

მარო მაყაშვილის ასულის

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 23 თებერვალს. მიცვალებულს დილით გამოასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიიდან.

(630—1—1)

გულითადი მწუხარებით აუწყებენ დედა მარიამ გაბრიელის ასული, დიმიტრი, ნიკოლოზ, ელენე ნინა სერგოს ასული თუმანიშვილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე გედევანიშვილი, თამარი გრიგოლის ასული და ივანე ივანეს ძე ტრუფანოვები რომ გმირულათ დაღუპული მტერთან ბრძოლაში 19 ამა თებერვალს კაპიტან № ბატარეისა № არტილერიის დივიზიონისა

მიხეილ გიორგის ძე თუმანიშვილის

დაკრძალვა მოხდება 23 თებერვალს სამხედრო ტაძრის გალავანში გვამის გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან 10 საათზე დილით 23 თებერვალს. (635—1—1)

ექიმი მ. ზანდუკელი თავის ცოლით და შვილით, დები—ნინა და ელენე თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშობლოს დაცვის დროს ბრძოლის ველზე გმირულათ თავი შესწირა საყვარელმა ძმამ

ნიკოლოზ ზანდუკელმა

გამოსვენება ოთხშაბათს 23 თებერვალს დილის 9½ საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან და დაკრძალვა სამხედრო ტაძრის გალავანში 12 ს. (633—1—1)

№ ის ათასეულის თავი, აფიცრები და ჯარისკაცები მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ მუხანათურ მტერთან ბრძოლაში დედა ქალაქის დაცვის დროს 18—19 თებერვალს გმირული სიკვდილით დაცემულის სამშობლოს ერთგული შვილის, ასეულის თავის კაპიტან

ნიკოლოზ ოთარის ძე ზანდუკელის

ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან დღეს დილის 10 ს. დაკრძალვა მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში ამავე დღის 12 ს. (უ. 1—1)

გიორგი ქაიხოსროს ძე ზანდუკელი თავის ცოლშვილით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ბრძოლის ველზე, სამშობლოსთვის თავგანწირულ ბრძოლაში დაეცა ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი ძმისწული კაპიტანი

ნიკოლოზ ოთარის ძე ზანდუკელი

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, დილის 10 ს. დაკრძალვა სამხედრო ტაძრის გალავანში. (637—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო ალექსანდრეს ასული ზანდუკელისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გმირულათ დაცემას ბრძოლის ველზე საყვარელ და ძვირფას მეუღლის გუნდის უფროსის კაპიტან

ნიკოლოზ ოთარის ძე ზანდუკელის

რომლის დასაფლავება მოხდება დღეს სამხედრო ტაძრის გალავანში. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან დღეს, დილის 10 საათზე. (638—1—1)

გენერალური შტაბის ცნობა

თფილისი, თებერვლის 22.

განაგრძო რა დევნა კოჯორთან დამარცხებული მტრისა, გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავთა რაზმმა დაიკავა სოფლები კუმისი და წყლასკური. ღამე მოულოდნელი დავლახმით ს. კუმისთან მტერს წავართვით 8 ტყვიისმფრქვეველი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 აფიცერი და 53 წითელარმიელი. ს. წყლასკურთან კი,—ყუთი ყუმბარებით და ვაზნებით.

ის ადგილები, სადაც უკან დახეულ მტერს გაუვლია, აშკარა სურათს იძლევა მტრის არევ დარევისას და დიდი ზარალისას.

კახეთში დაიწყო ადგილობრივ გლეხების ძლიერი პარტიზანული გამოსვლები ბოლშევიკების კავალერიის წინააღმდეგ.

მტრის ცდა, რომ მოახლოვებოდა ჩვენს მოწინავე პოზიციას დარიალთან, მოგერებულ იქნა.

გაგრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეჩერებულია.

კონსტიტუციის დამთავრება

ომის ალში და ბოლში გახვეული საქართველოს უზენაესი დაწესებულება დამფუძნებელი კრება იშვიათი სიმტკიცით და შეურყევლობით განაგრძობდა თავის საშვილიშვილო საქმეს—საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას ორი წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მუშაობა. ყოველი დებულება, ყოველი სიტყვა პროექტისა აწონ-დაწონილი და ყოველმხრივ განხილული იყო ჯერ საკონსტიტუციო კომისიაში, შემდეგ პრესაში, პარტიულ ყრილობებზე და კონფერენციებზე და სხვა პარტიულ დაწესებულებებში. ეს მესამე თვეა, რაც დამფუძნებელი კრების პლენუმში შეუდგა პროექტის განხილვას. მან უკვე მოათავა პროექტის საზოგადო განხილვა, იმ მთავარი პრინციპების შეფასება, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი შენობა. მოთავებული იყო აგრეთვე პროექტის თავობრივი განხილვაც, რომლითაც დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის თვითეული ნაწილი უნდა შეეთანხმებინა მთლიანისათვის. უკვე დაწყებული იყო „მესამე წაკითხვაც", მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პროექტისა, როდესაც მოგვიწრო „წითელი" ურდოების შემოსევამ თფილისის ალყა-შემორტყმამ და თფილისის დაცვისათვის ბრძოლამ. ზარბაზნების დგანდგარში და ტყვიის ზუზუნში მიუხდა დამფუძნებელ კრებას დაწყებული საშვილიშვილო საქმის დამთავრება. სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მას ერთ ხელში ეჭირა ხმალი, რომლითაც იგი მტერს იგერიებდა, მეორე ხელში კალამი, რომლითაც იგი სახელმწიფოს უქმნიდა ძირითად კანონებს. მრავალი მისი წევრი ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდა კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგს მათგანს ვერ მოესწრო სახეზე მოეწმინდა თოფ-ზარბაზნის მჭვარტლი, ზოგს ბრძოლის ველზე დაშავებულს, სისხლის მობანაც კი ვერ მოესწრო და მიუხედავათ ამისთანა პირობებისა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ პირობებს სრულიად ვერ უნდა შეექმნათ შესაფერი სულიერი განწყობილება კონსტიტუციის განხილვისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნებით გამსჭვალულმა დამფუძნებელმა კრებამ თავისი ისტორიული დანიშნულების შესასრულებლად, თავისი მუშაობის დასაგვირგვინებლად. დღეს საქართველოს აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი პოლიტიკური სახე, რომლითაც იგი თამამად და ამაყად წარსდგება მსოფლიოს წინაშე.

ბოლშევიკების იმედი

ბოლშევიკებს გადმოუყრიათ მოწოდებები „რევოლუციონური კომიტეტის" მიერ ხელ მოწერილი. აქ ისინი წესს უგებენ დემოკრატიულ საქართველოს, ჩამოგდებულათ აცხადებენ მის მთავრობას.

— ამოანათა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის მზემ, ამბობენ, ხალხმა ველარ მოითმინა ამდენი ხნის მონობა, აჯანყება დაიწყო, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადადის ეს აჯანყება, აჯანყებულები ძლევამოსილად მიდიან თფილისისაკენ,—რეაქციის დედა ქალაქისაკენ, მთავრობის ჯარები იარაღს ყრიან და უერთდებიან ამათ... შეიარაღდით ქართველო ხალხო, მუშებო და გლეხებო, განთავისუფლეთ თავი სამუდამოთ... ასე იტყუებენ თავიანთ თავს და ატყუებენ ჩვენ გასაჟლეტად წამოყვანილ ჯარისკაცებს. ამაზე ამყარებდენ ისინი, როგორც სჩანს, თავის გამარჯვების იმედს.

გაუმართლდათ ეს იმედი თფილისის კარებთან. აქ დაინახეს მართლა აჯანყებული მშრომელი საქართველო, შეიარაღებული მუშები და გლეხები. მაგრამ დაინახეს ეს ძალა არა ჩვენი მთავრობის, არამედ თითონ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოში მართლა ამოვიდა დღეს პროლეტარული რევოლუციის მზე, რომელმაც შეანათა საბჭოთა რეაქციონურ სამეფოში. იქიდან აქ მოტყუებით მოყვანილი ხალხი გაიგებს, რომ ნამდვილი ძალაუფლება უპყრავს სწორეთ საქართველოს მშრომელ ხალხს და არა რუსეთისას. აქ შეიგნებენ იქიდან მომდგარი შეუგნებლები, რომ ჩვენი მუშა-გლეხობა იცავს თავის საქმეს, თავისი ხელით ნაკეთებს, იცავს იმ პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელთანაც ის თითონ არის შესისხლხორცებული. აქ მოყვანილ რუსეთის მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ ისინი აკეთებენ სხვის საქმეს, რომ ისინი გამოგზავნილი არიან ქართველი მუშების და გლეხების სისხლის დასაქცევათ.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს ომი ერთმანეთს დაუახლოვებს საქართველოს და საბჭოთა მშრომელ ხალხს. გვწამს, რომ ეს თვალს გაახელინებს ამ უკანასკნელს და აამოძრავებს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. გვწამს, რომ აქ ნახული გაკვეთილი ბოლშევიკების იმედს გადააქცევს უიმედობათ.

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელ კრების 21 თებერვლის სხდომაზე.

მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლას დამფუძნებელი კრება დიდის ოვაციებით და ტაშის ცემით ხვდება.

მოქალაქენო!

ახლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის, თუ რა მსვლელობას მიიღებს ეს ომი ახლო მომავალში.

ირკვევა ის, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხანია ჰქონია განზრახვა, რომ საქართველოში მოხდეს გადატრიალება და საბჭოთა მთავრობა იქნეს გამოცხადებული, მაგრამ ისინი ამას აქამდის ვერ ახორციელებდენ იმიტომ, რომ არ ჰქონდათ ერთხაირი საკმაო საბაბი. მხოლოდ ახლა, ამ ათი დღის წინად მათ იშოვეს ეს საბაბი ლორის ოლქში.

იქ მათ მოაწყვეს ჩუმი შეთქმულება დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ. იქ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა, და აი, ვითომ იმათ მოსახმარებლათ მოდის რუსეთის ჯარი. სწორეთ 15 ამა თვეს გამოიცა ბრძანება აზერბეიჯანში და სომხეთში მყოფ საბჭოთა ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ტყვეებისაგან. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია აღება თფილისისა და მოხდება საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანისა. იქ არის აღნიშნული, თუ რომელმა ჯარმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა აიღოს ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი დაბოლოს დაასკვნის ასე, რომ 19 თებერვალს უნდა აეღოთ თფილისიო.

პირველი შემოტევა ამ ჯარისა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური. და აი, ამ უეცარმა, მოულოდნელმა შემოტევამ ჩვენი ჯარის მდგომარეობა შეარყია იქ, სადაც ეს ჯარი იდგა, შეარყია იმდენათ, რომ იყო მომენტი, როცა იმ ჯარებს, რომელიც გვყავდა საზღვრებზე ბორჩალოს მაზრაში სრულიად არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ როგორც ჯარმა, ისე ჩვენმა ხალხმა ჩქარა შეიგნო მდგომარეობა, გამოსწორდა და უკვე დროზე ჩაება ომის ორგანიზაციულ მუშაობაში. ეს სწრაფი გამოსწორება მდგომარეობისა, ეს ხელ ახლა თავის მოყრა იმ ჯარებისა, რომელიც დამარცხებული იყო. ეს სწრაფად მოკრეფა და სწრაფათ შეკავშირება არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ კიდევ აქა ვართ დღეს. ჩვენ ვიხევდით უკან; ეს დავიწყეთ ლორიდან; როდესაც შევატყვეთ, რომ ამ მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენი ჯარი შეარყია ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თუ აზერბეიჯანი დაგვესხმებოდა თავს, ჩვენი მიზანი იყო ეს შერყეული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან უკან გამოგვეყვანა და საუკეთესო პოზიციები დაგვეკავებინა. ამიტომ უკან დავიხიეთ, დახევა მოხდა ალაგ-ალაგ მწყობრად, ალაგ-ალაგ კი არ იყო წარმოებული მწყობრად—როგორც ეს შეეფერება დახეულ ჯარს. მაგრამ საერთოდ, თითქმის დიდი ნაწილი ჯარისა, რომელიც იქ იყო, წამოვიდა მწყობრად თუ ცალ-ცალკე გამოვიდა.

ის ხალხი, რომელიც გამოვიდა, მოღლილი იყო, მაგრამ საბოლოოდ გატეხილი—არა. მოღლილი იყო და საჭიროებდა მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენებას, რომ ისეთივე ჯარის კაცებათ გამხდარიყვნენ, როგორც ახლად გამოსული მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვიხილეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ის არის, რომ თუმცა ასეთი უეცარი თავდასხმა მოხდა, უეცარი გამოსვლა, მაგრამ დეზერტირობა არ ყოფილა.

ამნაირად, ამ დროს განმავლობაში ჩვენ შევძელით ის, რომ მტრის წინააღმდეგ გამოგვეყვანა საუკეთესო გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გაჟღენთილი ჯარი.

პირველი გენერალური ბრძოლა, რომელიც ჩვენ მივეცით საბჭოთა ჯარებს, ეს იყო ღამით 19 ს. ამ დრომდე ჩვენ მათთვის არასოდეს გენერალური ბრძოლა არ მიგვიცია და არც მათ მიუციათ ჩვენთვის.

ბრძოლა წარმოიბდა დიდ ფრონტზე, დაახლოვებით 100 ვერსამდე. ამ ფრონტს ჰქონდა სამი ადგილი: ფრთათა მარჯვენა, მარცხენა და ცენტრი. 18 და 19 ღამით მოხდა ამ ფრონტის ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ შემოტევა მთელ ამ მანძილზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდებული ომი.

19 დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით გარღვევა მტრის ცენტრისა და იქ იგემა მტერმა სრული დამარცხება.

შემდეგ, 19 დღით, მოხდა ბრძოლა ჩვენ მარცხენა ფრთაზე.

იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერი იყო მეტად წინ წამოწეული,—მოსული მარტყოფში, ლილოში, და აქ 19 ს დღით მოხდა ჩვენი შეტაკება მტერთან და მტერს დავხივნეთ და გადავრეკეთ ყარაიაზისაკენ. მხოლოდ დღეს 21 და წუხელ მოხდა დიდი შეტაკება მარჯვენა ფრთაზე. ამ მემარჯვენე ფრთის ბრძოლა თითქმის ისეთივე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს მეტად მედგრათ, მაგრამ და იჩენს დიდ დისციპლინას. წუხელ ჩვენს ჯარებს, რომელნიც დაბანაკებულნი იყვნენ კოჯრის მიდამოებში, თავს დაესხნენ და მოინდომეს ერთი ადგილის, რომელიც, ასე ვთქვათ, ღიად იყო დარჩენილი, გარღვევა. აქ მათ შეხვდნენ იუნკრები და თქვენ გეხსომებათ, რომ აქ გაიმართა დიდი ბრძოლა. იქ იყო ხანდახან ხელჩართული ბრძოლა ყუნდაღებით და ხიშტებით ისე, რომ ასე ახლოს ჩვენ და ისინი ერთმანეთთან არ მისულვართ ამ ბრძოლაში. მაგრამ, იქაც ისინი სასტიკად დამარცხებულნი იქნენ (მხურვალე ტაში, ხმები: „ვაშა") იქ, იმ მიდამოებში მტერს ეჭირა ბევრი მაღლობი ადგილები. ზოგი ისეთი მაღლობი ადგილი ეჭირა, რომ იქ რომ დაედგათ ზარბაზანი, აქ თფილისს თითქმის გაანადგურებდა. ჩვენ გუშინ მივიღეთ ზომები, რომ ეს მაღლობი ადგილები წაგვერთმია. ეს იყო პირველი ნაბიჯი ჩვენი გამარჯვებისა და უნდა ვთქვათ, რომ ისეთი ძნელი ადგილები, ისეთი მთები, სადაც მტერი იდგა და გამაგრებული იყო, ჩვენმა გვარდიის ნაწილებმა [illegible] გუშინ შეუტიეს ისე, რომ არც ერთი კაცი არ დაუკარგავთ (ხმები: „გაუმარჯოს" და ხანგრძლივი ტაში).

ამ ომში გამოირკვა ერთი რამ
საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს
თითონ მაგრად დგება, მაგ
შეუტევა ვერ აძლებს. თითქ
რად შეუძლებელი იქნებოდა
ლობი ადგილების დატოვება,
დეთ უნარი შეტევის გაძლებისა
უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ჯ
გვარდია იჩენს სიმამაცით ს
(აქ კრება ფეხზე ადგება, ტაში
მით და „ვაშას" და „გაუმარჯოს"
ხილით ესალმება ჯარს და გვარდიას).

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, იფეთქა ჩვენი ძველი წინაპრების სისხლმა (ძახილი „ვაშა" და „გაუმარჯოს" და ტაში) იმ წინაპრებისა, რომელნიც დიდ მოზღვავებულ მტერს მცირე გუნდით ამარცხებდნენ, ის რაც ჩვენ [illegible] ბრძოლის ველზე, მოენატრებათ ყველა დიდ და ძლიერ სახელმწიფოების ჯარებს დღევანდელ პირობებში (ხმები: მართალია). თვითეული ჩვენი მეომარი დარწმუნებულია იმაში, რომ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა დავიხოცოთ (ტაში) და ეს მგონია, რომ ამით ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია (ტაში და ვაშა). ჩვენ დღეს ისე ვართ გამაგრებული თფილისში, რომ თფილისის წართმევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება (ვაშა და ტაში). თფილისმა უკვე გამოიჩინა თავისი ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეების სიმტკიცე. თფილისი არის და უნდა გადავაქციოთ საქართველოს ვერდენათ (ტაში) და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი თფილისი, ეს ჩვენი ვერდენი, საბოლოოდ გადასწყვეტს ამ ჩვენ ბრძოლას.

და ნუ შეგვეშინდება ჩვენ იმის, თუ რა მოხდება სხვაგან პროვინციაში. ჩვენ არ შეგვაშინებს ის, რომ კახეთის ან ბორჩალოს მაზრების ზოგი სოფლები გადავიდა მტრის ხელში (ხმები—მართალია, კიდია: ეს დროებითია). სანამ თფილისი გამაგრებულია და ჩვენ მაგრად ვდგევართ, მე ვამბობ, რომ ბრძოლის ბედი აქ გადაწყდება და აქ გაითხრება ნამდვილი სამარე ჩვენი მოწინააღმდეგისა (ტაში).

ჩვენი საგარეო მდგომარეობა გამაგრებულია იმ მხრივ, რომ [illegible] უკვე ჩამოშორდა სომხეთი. სომხეთში მოხდა გადატრიალება. საბჭოთა მთავრობა ჩამოგდებულია, დატყვევებული და მის ალაგას გამოც-

ჩადგა ახალი მთავრობა და ჩვენ მან უკვე მოგვმართა, რომ სურს დაიჭიროს მეგობრული კავშირი საქართველოსთან და არავითარ შემთხვევაში არ ელტვის და არც მიიღებს მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ ომში (ეშმაპელი: „timeo danaos") ბატონო პოლიტიკაში მაგნაირ თქმულებით ვერ ვიხელმძღვანელებთ და არც ვიხელმძღვანელებთ. აქ გადამწყვეტია ანგარიში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიური დახმარება გაგვიწია საფრანგეთმა (ხმები; „გაუმარჯოს", ვაშა და ტაში) საფრანგეთის ესკადრა მივიდა ბათუმში და ჩვენ ჯარებთან ერთად გუშინ ებრძოდა მტერს და მტერი დამარცხებულ იქნა (ვაშა და ტაში. ეშმაპელი: ეს სჯობია სომხეთს).

ამნაირად, ჩვენი შინაური სამხედრო მდგომარეობა ერთის მხრით და საგარეო მდგომარეობა მეორეს მხრით თანდათან მტკიცდება და ჩვენ გვაქვს სრული იმედი, რომ შემდეგ და შემდეგ უფრო განმტკიცდება.

ეხლა მინდა მოგახსენოთ იმაზე, თუ ვისი ინიციატივით და ვინ მოუძღვის ამ საბჭოთა ჯარს საქართველოს წინააღმდეგ (ხმები: მოღალატეები) ალბათ იცით, რომ აქ გამოვიდა ფურცელი და დარიგდა, სადაც სწერია შემდეგი: რომ შულავერში შესდგა საქართველოს მთავრობა (სიცილი და ხმაურობა) და ეს შულავერში შემდგარი საქართველოს მთავრობა არის თურმე ნამდვილი ჩვენი ხალხის მთავრობა და მოუწოდებს ჩვენ ხალხს, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრება, დღევანდელი მთავრობა იქნეს გადაყენებული, გადაგდებული და შულავერის მთავრობა იცნოს. (რამიშვილი: მალე გავრეკავთ აძერბეჯანიდანაც) ის ხალხი, რომელსაც სურს ჩვენში უცხო ხიშტების საშუალებით თავისი ძალაუფლება, თავისი მთავრობა დაამყაროს (ხმები: ზიზღი მათ). აი ეს ხალხი გახლავთ შემდეგნი: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, ომარი, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია (ნ. ჩხეიძე: „ლვანკითელების მთავრობა. ხმები: „კარგი კომპანიაა".

ამნაირად, ბ-ნო ამ ქართველების, ჩვენი ქვეშევრდომების სურვილი, რომელნიც მოუძღვებიან მტერს და სურთ ქართველი ხალხის და ჯარის შემუსვრა სისხლითა და მახვილით და საქართველოს ტირანებათ მოევლინონ,—ამას არასოდეს ქართველი ხალხი არ დასთანხმდება (ხმები: „არასოდეს". ტაში) ამ შერცხვენას ქართველი ხალხი არასოდეს არავითარ საშუალებით არ მიიღებს თავის თავზე (ხმები: მართალია, ტაში). მას ამისთვის არ უმუშავნია, იმისთვის არ ჩამოუგდია პეტერბურგის მთავრობა რომ შემდეგ შულავერის მთავრობა, (ტაში და ვაშა) და გამიგოთ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს რომელი ვაჟბატონები აპირებდნენ მის ასე გათელვას, მაშინ ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება უფრო განმტკიცდება და იტყვის: ან სიკვდილი, ან გამარჯვება (ტაში, დიდი ოვაციები. წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის მეთაურს ნოე ჟორდანიას).

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

თებერვლის სალამოს სხდომა.

I

იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში ან ამ ბრძოლას აქტიურ დახმარებას უწევს, გამოცხადდეს საქართველოს ხალხის მოღალატეთ, ჩამოერთვას მთელი ქონება და მოისპოს საქართველოს კანონთა მფარველობა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას.

II

დამფუძნებელმა კრებამ, მოისმინა რა ცნობები მთავრობის თავმჯდომარისა, საიდანაც გამოირკვა, რომ ქ. შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქრათ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიკ ნაზარეთიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია ცნობილ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებათ. ჩამოერთვას მათ მთელი ქონება და გამოცხადდენ საქართველოს კანონთა მფარველობის გარეშე.

III

დამფუძნებელი კრება ადგენს: მიენდოს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომელსაც ის საჭიროდ დაინახავს თავდაცვისათვის ბრძოლის უკეთ მოსაწყობად და რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

21 თებერვლის სალამოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა კონსტიტუციის განხილვა და საბოლოოდ მიიღო ის.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲧᲘᲟᲘᲜᲐ

ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ ძველებს.

ჩვენ კი შეგვიძლია თამამად ვაღვიაროთ, რომ ჩვენი ერის მუდმივი გასაჭირი და მისი არსებობისათვის განუწყვეტელი ისტორიული განსაცდელი ყოფილა სამჭედლოს ის გაუნელებელი ქურა, სადაც მტკიცედ იჭედებოდა მისი ეროვნული სიბრძნე, მდიდარი კულტურა, გაფოლადებული ნებისყოფა.

აბა გადახედეთ თუგინდ ამ ჩვენს ახალს, მოკლე, მაგრამ უმდიდრეს ისტორიას. განა განვლილი ის საბედისწერო მომენტები არ წარმოადგენენ იმ უროს ცემას, რომელიც რბილ რკინას აფოლადებს და აყალიბებს!?.

განა ამ გასაჭირის მომენტებმა არ გამოაფხიზლეს ქართველი ერი, განა მათ კვლავ სწრაფად არ გაათვითცნობიერეს ის და ერთ ცოცხალ არსებათ ქცეული თავის შესაფერ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ ჩამოაყალიბეს?!

და აი, ეს დიდი ჭირიც, უსინდისო, ვერაგი მტრისაგან კარზე მომდგარი, ახლავე დიდ საშვილიშვილო ნაყოფს იძლევა, რომლის უტყუარი ნიშნები უკვე ჩანს...

მუხანათი მტერი ვერაგულათ დაგვესხა თავს,—და ისიც იმ დროს, როდესაც საქართველო თავის საერთაშორისო ოჯახში დაბადების დღესასწაულობდა, ზეიმობდა...

დიდს განსაცდელში ჩავარდა მისი თავისუფალი არსებობა, მაგრამ ამ დიდმა განსაცდელმა დიდი სასწაულიც მოახდინა; მან აღაგზნო, აღაფრთოვანა მთელი ერი; მან გამოამჟღავნა დაფარული მისი ფოლადისებური ნებისყოფა.

და აი ეს პატარა საქართველო ჭეშმარიტად რომ ჯარასავით დაატრიალა...

მთელი ერი ერთი კაცივით ფეხზე დადგა, მრისხანედ წელში აღიმართა და ბრძოლის ველზე კვლავ რაინდულად გამოდის. ის დღეს იბრძვის მხოლოდ თავისუფალი არსებობისათვის და ამიტომაც ზღაპრულად ლომ კაცდება.

ნაადრევი რომ არის მის მტერთა გველური სისინი, რომელიც ნეტარობს და ელის მის დამარცხება-განადგურებას, ამაში ის ჩქარა დარწმუნდება.

რომ გამარჯვების მოყვარული და გამარჯვებასვე ჩვეული საქართველო კვლავ დიდი, სამაგალითო გამარჯვების დაფნის გვირგვინს დაიდგამს, ამისი თავდებია ის ცეცხლის მფრქვევი, გმირული ბრძოლის ყიჟინა, რომელიც საქართველოს ყველა კუთხიდან მრისხანეთ მოისმის. და ეს ყიჟინა გაჭიროვნებული ქართველი ერისა ომახიანათ გაისმის ძველს აზიასა და ახალს ევროპის გზაჯვარედინზე...

როგორც ჰარმონიული მრავალ ჟამიერის დიადი სიმღერით, რომელშიც ჩაქსოვილია ქართველი ერის საერთაშორისო სიყვარულით აღგზნებული გული და სული, ის თავის სიცოცხლესთან ერთად შეჰნატრის ყველა ერების სიცოცხლესაც,—ისე ამ თავისებური ბრძოლის ყიჟინით ის კვლავ უყივის ყველა ერებს: „მოსვენებით, თავისუფლათ მაცოცხლეთ და მაცხოვრეთ ჩემს ცის ნაჭერის ჭერ-ქვეშ, ჩემს მიწა-წყალზე, რომელიც ჩემი სისხლით და ოფლით არის გაპოხიერებული; მაცხოვრეთ ჩემებურათ, დემოკრატიულათ, და თქვენც იცხოვრეთ, იხარეთ, ინეტარეთ. მე არ მინდა ვისიმე დამონება, მაგრამ ნურც მე დამიმონებენ, მომსპობენ, გადამაშენებენ... თორემ ბევრი მტერი მომიგერებია, მომინელებია და კვლავაც მოვიგერიებო."

და ვინ იტყვის, რომ ამ ახალი დროს და ქვეყნის გარიჟრაჟზე ქართველი ერის ასეთი ისტორიული ყიჟინა საკაცობრიო, საერთაშორისო კეთილშობილური ყიჟინა არ არის?!.

და აი ამიტომაც დღეს მთელ საქართველოს სწამს, რომ მისი ასეთი სამართლიანი ბრძოლის ყიჟინა მთელ მსოფლიოს მოეფინება, ყველგან გამოიწვევს ის სათანადო გამოხმაურებას და სამაგალითო გამარჯვებითაც დაგვირგვინდება.

ი. ირემაშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲔᲠᲓᲔᲜᲘ

მახსოვს, ამ რამდენიმე თვის წინად ვიღაცამ თფილისი პარიზს შეადარა. დღეს ჩვენმა ბელადმა ნოე ჟორდანიამ მას ვერდენი უწოდა. თფილისი ღირსია ორივე ამ სახელებისა. პარიზი იყო ის აქამდის თავისი სიცოცხლით... ნამდვილი ვერდენია ის დღეს მტრებით გარს შემორტყმული, იარაღში ჩამხდარი და უკანასკნელ კაცამდე, საბრძოლველათ განმზადებული.

ბევრი ავი და კარგი უნახავს თფილისს, როგორც შორეულ წარსულში, ისე ახლო მომავალშიც, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა იგი ისეთი დიადი გმირი, როგორც დღეს.

აგერ მეოთხე დღეა, რაც ის ეწევა არაჩვეულებრივ მუშაობას ზარბაზნების განუწყვეტელ გრიალს ქვეშ. აგერ მეოთხე დღეა, რაც მისი სიცოცხლე დღიან-ღამიანათ დუღს და გადმოდუღს. ყველა,—დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სადღაც მიეჩქარება, რაღაცას აკეთებს, რაღაც აინტერესებს. ცხადია, ყველა გრძნობს, რომ რაღაც დიდი უბედურება მოსდგომია კარს და არაჩვეულებრივის ზომებ[illegible] მის თავიდან აცილებას.

ზოგი იარაღით ხელ[illegible]ისაკენ მიეშურება, ზოგი შინ[illegible]რიგის დაცვას კისრულობს, თუმცა ამ უკანასკნელზე ზრუნვა ზედმეტია: წესრიგს თვით ხალხი საუცხოვოთ იცავს; ამდენ ორომ-ტრიალში, ამდენი შიშისა და ძრწოლვის წუთებში არც ერთ ექსცესს, არც ერთ არევ-დარევას, არც ერთ უწესოებას და დანაშაულობას ადგილი არა აქვს.

ამ მხრივაც თფილისი მოგვაგონებს ისევ პარიზს კომუნის პირველ დღეებში. ამბობენ, ერთად ერთი ღამეები, როცა პარიზში დანაშაულობას ადგილი არა ჰქონია, ეს კომუნის გამოცხადების პირველი ღამეები იყო. სწორედ ასე ხდება დღეს ჩვენს თფილისშიაც. საშინელი განსაცდელის წინაშე თითქოს მიყუჩებულა ადამიანთა ქვენა გრძნობანი, თითქოს ყველას დავიწყებია თავის პირადი ინტერესები, თავისი ყოველდღიური წვრილმანი საქმეები და მხოლოდ ერთის მიზნითა და სურვილით გატაცებულა. ეს სურვილია კარზე მომდგარ ვერაგ მტრის მოგერება, თფილისის მშიერთა შემოსევისაგან გადარჩენა, მის ნამდვილ ვერდენათ გადაქცევა და აქედან საფრანგეთში ჩავარდნილ მთელი ქვეყნისა და თავისუფლების დახსნა.

ეს აწერია ყველას სახეზე. ეს ატოკებს პატარა მოწაფის ნორჩ გულს, რომელიც უანგაროთ აწვდის ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცებს უკანასკნელ კაპიკებით ნაყიდს პაპიროსებს. ესევე აცრემლებს იმ ქართველ ქალს, რომელსაც ყველა თავისი შვილი ფრონტზე გაუგზავნია სამშობლოს დასაცველათ.

ასეთია თფილისი, ეს ახალი ვერდენი ამ საბედისწერო ომის ხანაში. მის გამაგრებულ მაღლობებზე უკვე შეწირულია მრავალი მსხვერპლი საკაცობრიო იდეალებისათვის.

რ. რ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲒᲔᲜ. ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲔᲡ

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ, ნ. ჩხეიძემ შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშით მიმართა რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალს გენ. კვინიტაძეს:

„დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით გესალმება თქვენ და თქვენი ხელმძღვანელობით მომქმედ ჯარსა და გვარდიას, რომელმაც თავისი თავგანწირული და გმირული ბრძოლით იხსნა სამშობლო მტრის გამხეცებულ ბრბოთა თავდასხმისაგან.

ქართველი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებანი მოპოვებული 19—20 და 21 თებერვლის ომებში ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში და ამბები ამ გამარჯვებისა გადაეცემა მომავალ თაობას, როგორც საზღაპრო მოთხრობა ქართველ მებრძოლთა ძლიერებისა.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ ძალას!

დიდება და სახელი იმათ, ვინც გასწირა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსათვის და ბრძოლის ველზე დაეცა".

ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ

20 თებერვალი.

სალამოს 5 საათია.

ქუჩებში რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა შეიქნა.

რა ამბავია? მოჰყავთ, მოჰყავთ.

გამოჩნდა პირველი პარტია სამხედრო ტყვეებისა—თავიანთი თოფებით ისეთივე საცოდავი, ისეთივე დაფლეთილი ახალ გაზრდები, როგორც გუშინ. ასე გეგონება ყველა ერთის წლისა და ასაკის არიანო.

ჩვეულებრივის ზიზღით აცილებენ მათ. ზოგიერთნი, მათ შორის, რუსები თავს ვერ იკავებენ და უფრო მაგარ სიტყვებსაც ესვრიან მიმავალ ტყვეებს.

დანარჩენები ასეთებს აჩერებენ და არცხვენენ.

მიიმალა ეს სანახაობაც.

ხალხი მაინც არ იშლება. ის თითქოს უკმაყოფილოა, რომ ასე ცოტა ტყვეები მოჰყავთ.

ცნობაა, რომ შვიდასამდე ტყვე არის დაჭერილი კოჯორის ბრძოლაში და საცაა უნდა ჩამოატარონო.

ხალხი იცდის, არ იშლება. ეტყობა, კიდევ მოსწყინდათ ლოდინი და აი, ახალი გასართობიც:

სასახლის წინ შეუყრია თავი ერთ ჯგუფს: ჯარის-კაცებს და გვარდიელებს და გაუმართავთ ცეკვა-თამაში, ხალხი მათ შემოჰხვევია და სიამოვნებით უკრავს ტაშს.

აქა იქ გაისმის ხმები: საკვირველია ქართველის ბუნება, ის ერთსა და იმავე დროს სისხლსაც ღვრის და ლხენასაც არ იშლისო.

დაღამდა. დღიურ შთაბეჭდილებით დაღლილ-დაქანცული მივდივარ სახლში.

გზაში დამეწია მთელი ჯგუფი გვარდიელებისა: ზოგს ხელი აქვს შეხვეული, ზოგს ფეხი—ზოგს თავი... კოჯორის ფრონტიდან მოდიან.

როგორ არის საქმე?—ძალიან კარგათ, დავამარცხეთ, გავფანტეთ ბევრი დავხოცეთ, ბევრიც ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ტყვეებს ხვალ დილით ჩამოიყვანენ.

მინდოდა კიდევ გამომეკითხა, მაგრამ ჭრილობისა თუ დაღლილობისაგან ისე ლაპარაკობენ, რომ მე დანაშაულობად ჩავთვალე მათი შეწუხება და გზა დავულოცე...

რ—ლ.

ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚ ᲛᲐᲠᲝ ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

იმ დროს, როდესაც მთელი ქართველი ერი, განურჩევლად რწმენისა და მდგომარეობისა თავგანწირვით ჩაება თვისი არსებობის ყოფნა-არყოფნისათვის ბრძოლაში, მშობელი ქვეყნის მოწოდება ღრმად და ძლიერად ჩაწვდა სულში ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობასაც. იგი თავდავიწყებით ჩაება ქვეყნის თავდაცვაში და ბევრმა უკვე მოიპოვა ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილი... ასეთებს პირველ რიგში ეკუთვნის გმირი ახალგაზრდა ქალი **მარო მაყაშვილის ასული**, რომელმაც დედა ქალაქის მახლობლად თვისი წმინდა მოვალეობის შესრულების დროს მოიპოვა ისეთი საუკუნო განსვენება, რომლის ღირსიც მართლადაც მხოლოდ ერის რჩეული შვილები არიან. ძნელია საერთოდ ნეკროლოგის დაწერა, მაგრამ ყველაზე უფრო მძიმეა მასწავლებლისათვის დასწეროს რამე იმ ადამიანზე, ვისი აღზრდაც მას ბედმა არგუნა. გული გიკვდება, სული სწარედ მიკვნესის, როდესაც წარმოიდგენ, რომ ის, ვისაც გადასცემდი „სიტყვას ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისას", დღეს უკვე აღარ ეკუთვნის ამ ქვეყანას, რომ დადუმდენ მისი ბაგენი და დაიხშო მისი ადამიანური სმენა. მძიმეა, მეტად მძიმეა აღმზრდელისათვის თავისი მოწაფის უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის გათვალისწინება, მაგრამ ყოველივე ამას გავიწყებს, გწუხარებას გინელებს ის გმირული სიკვდილი, რომლითაც გაგვშორდა დაუვიწყარი მარო; წმინდა და შეუბღალავ სურათად ინახავება განსვენებულის ხსოვნა ყველა იმათ სულში, ვისაც მარო თავისი სიმკვირცხლით, ნიჭით, პატიოსნებით და მხიარულებით ატკბობდა და ახარებდა. მშობელ გიმნაზიას, სადაც მარომ საშუალო სწავლა დაამთავრა, იგი მუდამ დაუვიწყარ არსებად ეყოლება; მისი აღმზრდელნი და მასწავლებელნი, მოწაფენი და მეგობარნი სიკვდილამდე არ დაივიწყებენ მის ცქრიალა სახეს და მისი გმირული სიკვდილით გულდაკოდილნი, მარადის ნათელი ხსოვნით მოიგონებენ მის უწყინარ ცხოვრებას.

ძვირფასო მარო! შენი სურათი ამიერიდან დაამშვენებს ქალთა მე-7-ე წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის დარბაზს, რომ შემდეგმა თაობამ ქართველი ქალებისამ შენის ცხოვრების გათვალისწინებით აღზარდოს და განამტკიცოს თვის უმანკო სულში თავდადებული და წმინდა სამსახური მშობელი ერის წინაშე. შენი სურათით იამაყებს კიდეც შენი აღმზრდელი გიმნაზია და ყველას მიუთითებს შენს თავგანწირვაზე, რომელიც ძველად სჩვევიათ ქართველ გმირ ქალებს.

ნაზად და სიყვარულით მიიღებს, ძვირფასო მოწაფევ, მშობელი მიწა შენს სახელოვან ცხედარს და დიდის ალერსით გეტყვის საუკუნო ნანინას... დაუვიწყარი იქნება შენი ნათელი ხსოვნა ყველას გულში.

ალ. წერეთელი.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ

მშობლების, ნათესავების და ნაცნობთა საცნობათ ვაცხადებთ, რომ 23 თებერვალს დილის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში საძმო სასაფლაოზე მოხდება დაკრძალვა მუხანათ მტრისაგან დედა ქალაქის მოგერების დროს სახელოვანად და გმირულად დახოცილთა. ნამდვილ სამშობლოს შვილების—ჩვენი მხედრობისა.

ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეთ ვთხოვთ სცენ პატივი დასწრებით დედა-ქალაქის დაცვის მსხვერპლებს.

გამოსვენება მიცვალებულთა მიხეილის საავათმყოფოდან დილის 10 საათზე მიხეილის პროსპექტით, კიროჩნი ქუჩა, ვერის აღმართით, რუსთაველის პროსპექტით სამხედრო ტაძარში.

ქალაქ თფილისის კომენდანტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ

ჩვენმა ჯარებმა მტერს დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ მტერი ჯერ საბოლოოდ არ დამარცხებულა, ამიტომ საჭიროა ყველა ვიდგეთ თავ თავის ალაგას, ყველამ შევიგნოთ მომენტის სირთულე, დავიცვათ სრული წესრიგი შიგნით, რომ ზურგის ერთსულოვნობით გავძლიერდეთ ფრონტზე.

ერთხმად უნდა დავსცეთ ბრძოლის ყიჟინა და ვიკვეთოთ უკვე გატეხილ მტერს. ყველა, როგორც ერთი კაცი, უნდა გავიმსჭვალოთ თავდაცვის გრძნობით.

და ჩვენ გავიმარჯვებთ—დამარცხდება მტერი!

ზურგის სიმტკიცემ და თქვენმა ერთსულოვნებამ უნდა აღაფრთოვანოს ფრონტი, მტერი ძლეულ უნდა იქმნას, რაც შეიძლება დაჩქარებით, რომ გაზაფხულის მუშაობას თავის დროზე შევუდგეთ.

ჩვენ აქ ფრონტზე კარგად ვართ. სამხედრო ძალა საკმაო სიმტკიცით მტერზე გამარჯვების რწმენით, გაგვიმაგრეთ ზურგი.

ყველამ გაიღეთ წვლილი სამშობლოს საკეთილდღეოთ, რითაც-კი შეგიძლიანთ.

სიმტკიცე შიგნით და გამარჯვება ჩვენი იქნება!..

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

გაუმარჯოს რესპუბლიკის ერთგულ შვილებს.

მიიღეთ ჩემი სალამი ფრონტიდან!..

თქვენი ჯავშნოსნების რაზმის უფროსი და რკინის გზის ხაზის კომენდანტი გ. გოგუაძე.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ლონდონიდან მიღებული რადიოს ცნობით ლონდონში უკვე გაიხსნა მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია. 22 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში დასმულია აღმოსავლეთის საკითხი.

ანგორის დელეგაცია, რომელიც ლონდონს მიემგზავრება, პარიზში ჩავიდა 21 თებერვალს დილით.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲮᲛᲐ

ბათომი, 20 თებ. ქობულეთის უბნის ქართველ მაჰმადიანთა მრავალრიცხოვანმა ყრილობამ მოისმინა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ისიდორე რამიშვილის და მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძისა საქართველოზე ბოლშევიკური ჯარების თავდასხმის შესახებ, მიესალმება მთავრობას, უსურვებს საქართველოს შემოსეულ მტერზე სრულ გამარჯვებას და აღუთქვამს დახმარებას.

კრების თავმჯდომარე **ხახილაიშვილი**.

ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ყუბანის და თერგის განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მიმართა მთელ ყაზახობას შემდეგი მოწოდებით: „ძმებო, ყაზახებო! თქვენ წაგიყვანეს თავისუფალ საქართველოს წინააღმდეგ და წითელი დროშის ქვეშ ებრძვით თქვენ ქართველებს. მაგრამ საქართველოს სახალხო არმია და სახალხო გვარდია ძლიერნი არიან თავისი სიმართლით და ისინი შესძლებენ პასუხის გაცემას თქვენს წინააღმდეგ გამოდის ქართველი გლეხი და მუშა. იმათ მიატოვეს თავისი მშვიდობიანი მუშაობა და თოფით ხელში მტკიცედ მიდიან კომუნისტების ძალადობისაგან თავის დასაცავათ. სამი წელია ქართველი ხალხი თვითონ აწყობს თავისუფლათ თავის ცხოვრებას, სცემს კანონებს მის მიერ არჩეულ დამფუძნებელი კრების საშუალებით. აქ ძალა-უფლება სწორედ მუშების და გლეხების ხელშია. ჩვენ ვცხოვრობდით საქართველოს ქალაქებში და დაბა-სოფლებში, ზღვის პირად და მთებში. ჩვენ ვიცით თუ როგორ უყვარს ქართველ ხალხს თავის სამშობლო როგორ ენდობა ის მის მიერ არჩეულ მთავრობას. მთელი ქართველი ხალხი აღდგა როგორც ერთი კაცი და თავგანწირვით მიდის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში თავის თავისუფლების დასაცავათ. და თქვენ კი მოდიხართ კომუნისტ-კომისარებთან ერთად, რომ დაახრჩოთ ეს ხალხი და მისი თავისუფლება.

ყუბანი და თერგი კვნესის კომუნისტების უღელს ქვეშ და მოუთმენლად მოელიან განთავისუფლებას.

და თუ თქვენ შესძლებთ თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის დამარცხებას, ამ ერთად ერთი კუთხისა, სადაც განხორციელებულია ნამდვილი ხალხის მმართველობა—აქაც და თქვენს სამშობლოშიაც ამ ბარბაროსულ გამარჯვებას წყევლა კრულვით შეხვდებიან.

დროა იფიქროთ თქვენ თავზე, თქვენს სტანიცებზე მიატოვეთ სისხლში დასვრილი ჯალათური წითელი არმია კომუნისტებისა, წადით თქვენი სამშობლოს დასაცავად. დაე შეიკრიბოს ერთად ყაზახთა ძალები თავის სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ხეთა, 21 თებ. თემში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ქალი, კაცი, დიდი, პატარა, როგორც მუდამ, დღესაც თქვენთან ვართ. შესდგა ფრონტის დამხმარე კომიტეტი, რომელიც უხვად აგროვებს ფრონტისათვის ყოველგვარ საჩუქრებს, სურსათს და ფულს.

მიტინგის თავმჯდომარე **მიხეილ ქურაძე**.

ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

(გენ.-გუბერნატორის ბრძანებიდან)

თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, ვბრძანებ: ყველა მოქალაქე, რომელიც ატარებს ან ინახავს იარაღს თფილისის გამაგრებულ რაიონში, ვალდებულია ორმოცდარვა საათის განმავლობაში გამოცხადდეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში რეგისტრაციისათვის.

ვინც არ შეასრულებს ამ დადგენილებას მიეცემა სამხედრო სამართალში.

ეს დადგენილება ძალაში შედის 22 თებერვლიდან.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑ. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐ

21 თებერვალი, 1921 წ.

ბენზინის და რეზინის სიმცირის გამო, სამხედრო [illegible] ქებლათ ვბრძანებ მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

1. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბენზინის მარაგი გადადის სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყების განკარგულებაში.
2. ყველა ავტომობილები და მოტოციკლეტები, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო დაწესებულებების და პირებისა, გადადიან სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების განკარგულებაში.
3. საბარგო ავტომობილებით უნდა სარგებლობდნენ სამხედრო საჭიროებისათვის ყოველგვარ კმაყოფის საზიდავათ.
4. სასანიტარო ავტომობილები ხმარდება მარტო დაჭრილ და ავათმყოფთ.
5. მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობა შეუძლიანთ: მთავრობის წევრებს, მის განსაკუთრებულ რწმუნებულებს, გენერალ გუბერნატორს და თფილისის მილიციის უფროსებს.
6. სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების მთავარ შტაბების განკარგულებაში იმუშავებს ხუთ-ხუთი სამგზავრო ავტომობილები.
7. ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება, თვალყურის დევნა და მისი სისრულეში მოყვანა ევალება სამხედრო წესების ზონაში გენერალ-გუბერნატორს და გარეშე ამისა, ადგილობრივ მილიციის უფროსებს.

შენიშვნა: ეს ბრძანება არ ვრცელდება უცხო მისიების ბენზინზე და ავტომობილზე.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ

თფილისი. თებერ. 22. ის ცნობები, რომლებიც შეეხებიან სამხედრო მოქმედებას და არ იქნებიან მიღებული გენერალურ შტაბიდან, უნდა წარედგინოს სამხედრო ცენზორს სარგის კაკაბაძეს.

გენერალ-გუბერნატ. მაგ. შ. მაღლაკელიძე.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

კახეთის რკინის გზებზე მე-18, მე-1 და მე 21 ვერსზე აშლილი ლიანდაგი შეკეთებულია. სადგურ ვაზიანის მოსამსახურეები თანდათან ბრუნდებიან.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲗ

გერმანელთა საზოგადოებამ გადა წყვიტა სრული თავისი ხარჯით და თ ვიანთივე მოსამსახურე პირებით მოაწ ყოს თფილისში დაჭრილი მხედრები თვის საავათმყოფო 50 საწოლით.

16 ᲡᲐᲐᲗᲡ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ

გურიის ერობის მოსამსახურეთა თათბირმა დაადგინა:

ყველას, ვისაც კი შეუძლია იარაღ მოხმარა, დაუყოვნებლივ წავიდეს ფრონ ტზე. დარჩენილი თანამშრომელნი კ საქმე რომ არ დაბრკოლდეს, იმუშავ ბენ ორმაგს,—ე. ი. 16 საათს.

ᲑᲐᲞᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲡ

ორმა მეტად თფილისელმა ბაპტ სამა 21 თებერვალს განაცხადა: მზა ვართ ჩვენი ეტლებით ომის განმავლ ბაში ვემსახუროთ ფრონტსო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ

ბათომიდან ჩამოსულის გადმოცემ ბათომიდან დაწყებული თფილისამდ ყველა სადგურები სავსეა ფრონტ მომავალი შეიარაღებული მხედრები რომელნიც დიდის ხალისით მოეშურ ბიან ფრონტისაკენ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თფილისის ქალთა მე-7-ე წმ. ნინ სახელობის დირექტორი სთხოვს გიმნ ზიის მასწავლებელთ და მოწაფეთ,—მ ბრძანდენ დღეს, დილის 9 საათზე გი ნაზიაში,—ბრძოლის ველზე დაღუპულ გიმნაზიის ყოფილი მოწაფის მარო მ ყაშვილის ასულის დაკრძალვაში მონ წილეობის მისაღებათ.

— საკომენდანტო სამმართველ სთხოვს მშობლებს და ნათესავებს გმ რულად დახოცილთა მხედრების დ კრძალვის შესახებ ყოველ შემთხვევა მიმართონ საკომენდანტო სამმართვ ლოს (რუსთაველის პროსპ. № 27, ყ ფილი ევროპიული სასტუმრო).

— მუშათა მაგიდა აცხადებს, რ მან მიიღო მომარაგების სამინისტროს გან თფილისის მუშა-მოსამსახურეთ თვის საჭირო შაქარი, რომლის განაწ ლებას ამ დღეებში შეუდგება. შაქა მიღებულია აგრეთვე რკინის გზის მ სამსახურეთათვისაც.

რედაქტორი ლევან [illegible]

საკუთარი სტამბა ერთობის ქ. № 4